8
1965

ნახ. ა. კანდელაკისა

№ 19 (1221) თბილისი ოქტომბერი 1965

ნიანგი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედალი: ხომ გესმის, თუმანიო, შენ კი, შე უბედურო,
- ჩემი ფასი არ იცოდი!

ტყავს გაუფრთხილდით!

ეს ორჭოფული სათაური შემდეგი გარემოების გამო წარმოიშვა: საქმე ეხება თბილისის ტყავის მე-2 ქარხანას, საიდანაც ხმა ჩვენს რედაქციასაც მოწვდა.

დიახ, ეს გახლავთ ჩვეულებრივი ქარხანა დირექტორით, ინჟინრებით, მუშებით, მანქანა-იარაღებითა და ყველა სხვა საჭირო მოწყობილობით. დღე-დღეს მიყვება, თვე-თვეს, საამქრო-საამქროს ეჯიბრება, გეგმა ყველასათვის კანონია... მაშ რა ნახა აქ ნიანგმა სანიანგო?

ყურადღება! გადმოგცემთ კრიტიკულ რეპორტაჟს:

1965 წელი. 6 თებერვალი. მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა. ცივი ქარი. ღამის სამი საათი. ქარხნის ტერიტორიაზე სველი ოპერაციების საამქროს მუშა შოთა ხიდეშელი და ცეცხლფარეში ბეკურაშვილი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი. მეორე დღეს ცეცხლფარეში ცეცხლს ჰყრიდა პირიდან: ხიდეშელი მკლავდაო. სველი ოპერაციების საამქროს მუშა კი მაინც მშრალად გამოვიდა, თუმცა იმ სიბნელეში ვინ გაარჩია მტყუან-მართალი?

დირექტორის რეპლიკა: ხიდეშელმა ცემა ბეკურაშვილს და მერე თვითონ ჩაიმტვრია ნეკნები!

— რატომ მოხდა ჩხუბი? — ვეკითხებით დირექტორს.

— არ ვიცის დედა იცინოდაო, გაგიგონიათ?.. ჰოდა, არ ვიცი.

— რატომ იჩხუბეთ?.. ვეკითხებით თმაშევერცხლილ „ჭაბუკებს".

— ერთმანეთს მკლავი გავუსინჯეთ.

„ბოროტი" ენები კი ამბობენ ამ საქმეს ცუდი სუნი ასდიოდაო. დალახვროს ეშმაკმა ზოგი დღემდე ვერ შეეჩვია ტყავის სუნს.

4 სექტემბერი. ქარხანაში არა ადგილკომის, არამედ დირექტორის ინიციატივით მოეწყო კოლექტიური სვლა... სანადიროდ.

გამომძიებელი: ჯიქიძემ დაცვის უფროსს სთხოვა მორიგეობიდან გაეთავისუფლებინა დარაჯი შ. სამყურაშვილი, რადგანაც მისი მანქანა სანადიროდ წასასვლელად სჭირდებოდა... აი, მონადირეებს კურდღელი წამოუხტათ, მაშინვე ამოიღეს მიზანში. მაგრამ. ჰოი. საოცრებავ! ყურებცანცარა შედგა, მოტრიალდა და თქვა: — მე რას მომდევთ, საკუთარ ტყავს გაუფრთხილდითო.

— რას მიედ-მოედები? — უყვირა დარაჯმა.

— სამყურაშვილო, ერთ ყურში მაინც შეუშვი ეს ჩემი რჩევა. ხარის ტყავები მიგიტოვებია, ჩემს ტყავს გამოდევნებიხართ, სადაური ჭკუაა?

შ. სამყურაშვილმა და მონადირეებმა როგორც ჩანს, არც ერთ ყურში არ შეუშვეს ეს სიტყვები. ნადირობიდან დაბრუნებულებს კი ასეთი ამბავი დახვდათ: ქარხნის მუშებს კ. მარტიროსოვს, ჯ. ბასილაიას და ს. გალეჩიანს 1633 დეციმეტრი ტყავი წელზე შემოუკრავთ და დილით, მზისით გაუტანიათ „მოსკვიჩ" გრფ 31-24-ით (მძღოლი გ. ხაჩატუროვი).

ასეთივე ნაქურდალი სახლშიაც აღმოაჩნდათ.

5 სექტემბერი. გრაფიკის მიხედვით კიროვის რაიონს სახალხო რაზმელებად უნდა მოვლენოდა ტყავის მეორე ქარხნის ჯგუფი შტაბის უფროს ვ. ჯიქიძის მეთაურობით. მაგრამ, ამ დღეს, დირექტორს ქუჩაში წესრიგის დასამყარებლად არ ეცალა — კვლავ ჩიტებს დასდევდა ტყეში.

8 სექტემბერი. ქარხანაში, ნედლეულის ოსტატ კრიჭაშვილის თვალწინ, ზედმეტი ტყავნედლეული შემოიტანეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზედმეტობა სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად არ შემოუპარებიათ. ყოველ შემთხვევაში, კრიჭაშვილმა კრიჭა შეკრა და „თავმდაბლურად" დუმს.

11 სექტემბერი. სანაცრე საამქროში ზედმეტი ნედლეული აღმოაჩინეს და ასე შემდეგ...

აი, მოკლედ ის კრიტიკული ქრონიკა, რომელიც ქარხნის ავკარგზე მეტყველებს.

•

ტყავის ქურდებს იმ ტყავს კი გააძრობენ, მაგრამ, საჭიროა სხვებიც გაუფრთხილდნენ ტყავს!

ნახ. გ. ლომიძისა



ესტაფეტა „4 × 100"

ნამდვილად გამწარდა!..

გავბრიყვდი და, სხვისი რჩევით,
სხვისი ახსნა-განმარტებით,
თბილისური გარნიტური
შევიძინე განვადებით.
ოჯახში რომ შევიტანე,
ჯერ მეუღლე მეცა ყელში
და კინაღამ განვადებით
მეც გამგზავნეს მოუსვლელში.
ცოლს სიდედრიც წაეხმარა,
სიდედრს კიდევ — ცოლისდები,
ვერაფრით ვერ გავაჩუმე
ეს უფასო „სოლისტები".
ზოგს ფერი არ მოეწონა,
ზოგს კარკე და ზოგს საკეტი,
ცოლმა მითხრა: ასეთ საწოლს
ვინ იკადრებს, გლახის მეტი?
დავწექი და აჭრიჭინდა,
მართლაც გული გამიწყალა,
ცოლს და სიდედრს ვინ დაეძებს,
მეზობელიც გამიმწარა.
მისმა წყევლამ თუ მიწია,
ლოგინშივე გამაშეშებს,
რამდენჯერაც ფეხს გავანძრევ,
„სიკვდილიო" — მიდეპეშებს.
ქმაბიჭებში დაჩაგრული,
ვინ დამწყევლა დაბადებით,
ლექსს გიტოვებთ სამახსოვროდ
კაყიდული განვადებით.

ს. აბაიშვილი

„არალეგალური" სასაუზმე

ჭიქას ჭიქა მოჰყვა, მერე ჭინჭილებიც მოგვიტანეს და ღვინის ვეება კასრის ირგვლივ „სუფრული" წამოვიწყეთ. ჩვენი მასპინძელი ჩიკორივით ტრიალებდა და მჟავე კიტრსა და პომიდორს ტკბილი სიტყვებით გვთავაზობდა:

— მიირთვით, თქვენი ჭირიმე, გაამოთ!..

როცა საგრძნობლად შევზარხოშდით, ჩვენს ხელგაშლილ მასპინძელს საჩივრისა და წინადადებების წიგნი მოვთხოვეთ. გვინდოდა, გულუხვობისა და კეთილმომსახურებისათვის მადლობა ჩაგვეწერა.

მან მხრები აიჩეჩა, წიგნის ნაცვლად ღიმილი გვითავაზა და გვითხრა: სასაუზმე საკუთარი ფირმისაა, ბიჭებო, და, სიტყვიერ მადლობასაც დიდი სიამოვნებით მივიღებ, ხომ გაგიგონიათ, სიტყვები ქრება და ნაწერი რჩებაო.

შიშით გადავხედეთ ალექსი პავლიაშვილის ეზო-გარემოს, მაშინვე დავტოვეთ ალიხანიანის ქ. № 14-ში მდებარე „არალეგალური" სასაუზმე და ფიცი დავდეთ, ამ კაცის ღვაწლისათვის მზის შუქი მოგვეფინა.

სამწუხაროა, რომ დღემდე მისი საქმენი სანაქებონი ჩრდილშია და მისი სახელი ჯერ საკუთარი ეზოს ფარგლებსაც არ გასცილებია. თურმე, ალექსას დუქანს წლების მანძილზე ძვრას ვერ უშვრებიან. დავიჯეროთ, ჩვენამდე ეს „არალეგალური" სასაუზმე არავის არ შეუმჩნევია?!

„წამსვლელ-დამრჩომნი"

ზარის წკრიალი და კივილი ერთად გავიგონე.

— აკოცე, ბიჭო, სისხლი და ხორცია შენი! მიმაგდო დედამ სტუმარზე.

— ო, ჩემო ნინუცი, რა გამახარე! — წამართვა „მსხვერპლი“ მამაჩემმა და ახლა იმან ჩაიკრა გულში. როგორც იქნა, ვიჯერეთ გული სტუმრის ალერსით.

— აბა, ჩაი, ჩაი, დაგვიგვიანდა, ნინუცი, მოდი, გენაცვალე!

— აპაპა, არა, შენი ჭირიმე, ნუ შეწუხდებით, თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, მე კი მოვუვლი ჩემს თავს — გაგვრეკა ნინუციმ.

..გუშინწინდელი ბორშჩი მეგულებოდა სახლში და უხალისოდ მივაბიჯებდი კიბეებზე, უეცრად, საცივის სუნი მეძგერა და კინაღამ წამაქცია. მამაჩემი არანაკლებ აღფრთოვანდა და ნინუცი შეაქო, დედამ კი ფერი დაჰკარგა.

— ჯერ რაც გვქონდა, ის გაგვეთავებინა...

სუფრას მივუჯექით, ბორშს ოხშივარი ასდიოდა. ცხადია, ინდაურისაკენ გავიწიე.

— ეს სტუმარს! — გამაჩერა დედამ და მათლაფა ბორშჩი მომაჩეჩა, — ესეც მამაშენს.

სამივენი წვენის ხვრეპაში ვიყავით. ჩვენი სტუმარი კი მადიანად შეექცეოდა საცივს. თან გვაქებებდა: გემო არა გაქვთ ქალაქელებს? გაცივდა ღომი, ბიჭო, შენც არ გიყვარს ინდაურის ხორცი? სოფელში მაინც არ იყო გაზრდილი?

— ვინ გითხრა, რომ არ უყვარს? დიახაც, უყვარს! — ვეღარ მოითმინა დედაჩემმა, — მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. — გადაკრა ორაზროვნად.

ჩვენს სტუმარს ეს აინუშმაც არ ჩაუგდია, თავისი ჩამოტანილის რეალიზაციით იყო გართული. გოცეგისაგან პირი დავაღე, როდესაც ნინუციმ გაუგლეჯავი ბარკალი ძვლებიანად გადუძახა ყელში, გადაუძახა და რაღაც არაბუნებრივად დაუსტვინა.

— გინახავთ ამისთანა? — იტაკა პირზე ხელი, — ათასში ერთხელ რაღაცას წაგწიწკნი და...

წყალი მივაშველე.

— დღეში ათ ლიტრა წყალს ვსვამ. რა მჭირს, ნეტავი? თავი მიბრუის, მუხლები მეკანკალება. სოფლის ექიმებს რომ ჰკითხო, არაფერიაო.

დედა სკამზე აწრიალდა.

— მერე სად იყავი აქამდე? იქნება, სულაც არ გეჭმევა ნიგვზიანი? ადექი, გასინჯე, უშველე! — სკამიანად წამოაგდო მამა.

შუადამისას მთამა ჩურჩულმა გამომაღვიძა:

— შენი მამიდაშვილია თუ ყვავიჩხიკვისმამიდა, აქედან მომაშორე!

— რა ვქნა, ქალო? ჯანმრთელია და...

— რა გაუძლებს მაგას? მის ჩამოტანილს ვინ დაეძებს, მეც შემჭამს.

დილით დედამ ნინუცის ლუკმა პირიდან გამოგლიჯა:

— არ გეჭმევა, სისხლი უზმოზე უნდა აგიღონ!

სადილად სტუმარ-მასპინძლები კვლავ შევიყარენით. სუფრაზე გამომწვევად იკრიჭებოდა შამფურზე შემწვარი გოჭი. (ესეც ნინუცის მარიფათი გახლდათ).

ღამით ისევ ჩურჩულმა გამაღვიძა:

— ვერ ვიტყვი ტყუილს, შარდიც სუფთა აქვს და სისხლიც, მგელივითაა! — იყვირა მამაჩემმა.

ალიონზე დედა ისევ წამოადგა თავზე სტუმარს.

— ნინუცი, ადექი, გენაცვალე, მიხედე თავს!

— რაო? რა ამბავია? — წამოხტა ლოგინიდან გაბრუებული ნინუცი.

— ისეთი არაფერი, შაქარი დაგგროვებია.

— შაქარი? ეშველება მერე მაგას?

— დიეტა უნდა დაიცვა, მკაცრი დიეტა!

— დიეტა რა ჯანდაბაა?

— დიეტა უცხო სიტყვაა, ნიშნავს შიშშილს, ნაკლებად უნდა ჭამო.

— მაინც რა არ მეჭმევა?

— რა და ტკბილი არ გეჭმევა, ჩემო კარგო, არც მწარე, სიროფიანი წყალი არ გესმევა, ღვინო არ დალიო, ხორცი არ გეჭმევა, მწვანილეულობას მიეძალე, რძე და ხაჭო მისწრებაა.

— ტყემალი და ღომი? — იკითხა შეშფოთებულმა ნინუციმ.

— ღომი? აჰ-აჰ! ღომი არავითარ შემთხვევაში! (დედაჩემი წისქვილზე ჩამოფქვილი ღერღილისათვის ეშმაკს გაატანს სულს).

— ნენა, ნენა! ტკბილი არ ვჭამო, მწარე არ ვჭამო! ჭლექი მაინც გამჩენოდა, მაძღარი მოკვდებოდი! — ატირდა ნინუცი.

საღამოს კალთა ჩამოვახიეთ ნინუცის. აღარ დაიცადა. ორი კვირის შემდეგ კი კვლავ გაგვახსენა თავი. ბარათი და პატარა „ამანათი“ გამოგვიგზავნა. დედამ წერილს გადაავლო თვალი.

„ჩემო ძმიკო, აქაური ექიმები ისევ თავისას გაიძახიან, არც შაქარი გაქვს, არც მარილიო. შარდს გიგზავნი საანალიზოდ. მიდეპეშე, თუ საჭიროა, ჩამოვალ“.

დედამ ბოთლი ფანჯრიდან ეზოში გადაუშვა და ოცდა დეპეშა აფრინა სოფელში: „ჩამოსვლა საჭირო არ არის, შაქარი არ აღმოგაჩნდა. ჭამე, რაც გინდა“.

ბ. ძალდანი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ალგათ, მთვრალია!

— არა, ფეხგზურთელია, „ფინტეგზე“ ვარჯიშობს.

ამბის მომტანი ამბის მიმტანიც არისო.

შენახულმა ტანსაცმელმა თქვა: რა უსაზრგებლოდ ვცვდებიო.

შაქარმა თქვა: თაფლიც და ღვინოც ჩემი სათრევი გახდაო.

საქმემ თქვა: ვინც გამაკეთებს, იმას გავაკეთებო.

ა. კორინთელი

წიგნი იოლად იყო დაწერილი, ძნელად კი იკითხებოდა.

თუ სინდისი სასწორზე დადეს, მის აწონას აზრი აღარა აქვს.

თავგასულობა სულაც არ ნიშნავს თავში გასვლას.

დრო ყველაზე ადრე მას ჰკლავს, ვინც მის მოკვლაზე ფიქრობს.

მთვარე ყველა სიყვარულის მოწმეა, მაგრამ გაყრის დროს მოწმედ არ გამოდგება.

ნაშრომის წყალში გადაყრა ეპატიება მარტო სელექციონერს, რომელმაც თევზის ახალი ჯიში გამოიყვანა.

ქალს რომ სიყვარული მოაცილო, მარტო კაბა დარჩება.

როცა ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნების მიზეზი მეორე ნახევარია, მაშინ ძნელია გაარკვიო, რომელია პირველი ნახევარი.

ბ. ბახტაძე

მეხანძრე საწყობის გამგედ დანიშნეს და მოკლე ხანში ყველაფერი გააქრო.

ჯიბეზე წასწრებულმა თავის მართლება დაიწყო: ხელს ვითბობდიო.

თეატრის დირექტორს შეეკითხნენ, როგორ მიდის საქმეო და წარმოდგენა არ მაქვსო.

ჯ. კასრაძე

ხერხი სჯობია

მიმდინარე წლის „ნიანგის“ მერვე ნომერში ორჯონიკიძის რაიონის სოფელ თეთრაწყაროს სპორტული ახალგაზრდობის ინტერესებისათვის გავაკრიტიკეთ კოლმეურნეობის მესვეურები:

„ჰქონდა სიგრძე, ჰქონდა განი,
გვქონდა ბურთის მოედანი.
კარგი მიწა არის აქო
და გარდაქმნეს სამოსახლოდ“-ო.

ბიჭებს ფრთა შეასხა ჩვენმა მხარდაჭერამ და ფრენბურთის ბადე გაჭიმეს ფრენბურთის მოედანზე, აქ მაინც დაგვაყენებენო.

ნათქვამია, კრიტიკა შეცდომებს ასწორებსო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი მანჯავიძემ შეცდომების გასწორება ჩვენი კრიტიკისა და ფრენბურთის ბადის მიწასთან გასწორებით დაიწყო — არც ფეხბურთი, არც ფრენბურთი და, საერთოდ, არავითარი ბურთი! აგერაა ყანა, ესაა თქვენი ბურთიცა და მოედანიცო.

ერთი სიტყვით, ფრენბურთის მოედანიც გვჭირდებაო, შემოუთვალეს სოფლის ფიზკულტურელებს. თავიდან ბიჭები ყოჩაღად დადგნენ — ცოცხალი თავით არ დავთმობთო. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ „ხერხი სჯობია ღონესაო...“ მართლაც, ხერხი ანაცვალეს ღონეს, ასე ვთქვათ, ხერხი იხმარეს, ფრენბურთის ბადის ადგილზე სახერხი დაზგა გამართეს, რის შესახებაც კვლავ გულის ტკივილით მოგვწერეს თეთრაწყაროელებმა.

წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია...

— ალო, მორიგე ხარ?

— გახლავართ!

— მერე, ქალო, როდემდე ვიარო ასე წვერგაბურძგნილმა, კინომსახიობივით?

— ეს „ტუესია“, ბატონო, გეშლებათ!

— უყურე ამას!...

— აბა, რა, ბატონო, ინდოელი რაჯებივით სახლში გეწვიოთ და გაგპარსოთ?

— გაპარსვა მეც კი ვიცი, შენ დენი გამოუშვი.

— გამოვუშვა, რავა, დაბმული კი არა მყავს! ერთხელაც „ბეზობასნით“ გაიპარსე, არაფერი გიჭირს.

— ენა ნუ გაგიტლეკია, ქალო, ამას მეც მივხვდებოდი, წყალი რომ იყოს!

— ჰოდა, წყალსადენში დარეკე, ჩვენ რას გადაგვეკიდე!

— რაო?

— ტუ-ტუ-ტუ.

. . . . . .

— ალო, წყალსადენია?

— ნამდვილად!

— მერე, წყალს რომ მიაქვს ცა და მიწა, ჩვენთან რატომ არ უშვებთ, თქვენ გაგიჩნდათ წყალმანკი!

— რა უწყალოდ იწყევლები, შე კაცო, რა მოხდა?

— რა მოხდა და სამსახურში უნდა წავიდე!

— წადი, მერე, რავა, გემი ხომ არ გინდა მოგაყენოთ?

— დეიღუპეთ, თქვე გლახებო, ბუმის საყოფს კი არა, გასაპარს წყალს არ იმეტებთ.

— აჰ, გასაპარსი წყალი არ გაქვთ? ახლა ვიღა იპარსავს დანით. გეყიდა ერთი „ხარკოვი“ და...

— ერთი კი არა, ორი მაქვს, მაგრამ დენი არაა.

— ყველაფერი მოშლილია თქვენს სახლში?

— კაციან-ქალიანად — ყველაფერი.

— ტელეფონი ხომ მუშაობს?

— კი!

— ჰოდა, რეკე და იყავი!

ბოზია ზარბა

ფეთვარი ლაბი

ღამეა, ქურდს რომ უნდა, სწორედ ისეთი.

რა თქმა უნდა, ყველას არ სძინავს.



ახლა დღე რომ იყოს, ყველა დაინახავდა, როგორ ლივლივებს ჰაერში აგვისტოს უსაშველო ხვატი, მაგრამ ღამეა და, ხვატს კი არა, იმასაც ვერ ხედავს ვერავინ, რომ სახლისაკენ მოიპარება გვიანი, ძალიან გვიანი მგზავრი. რა ჩაიდინა მან ისეთი, თავის ფეხის ხმაზეც რომ აკანკალებს?

აი, ფრთხილად შევიდა იგი ეზოში, უორნამენტო ლოდქვეშ გადამალული გასაღები გამოიღო. სადარბაზოს კარს კრიმინალისტური სიზუსტით მოარგო და გადატრიალებას აპირებდა, რომ უეცრად მოესმა ცივი, ამაზრზენი, გულისშემწუხებელი, მაგრამ მაინც არაპროფესიონალი ბანდიტის ხმა:

— არ გაინძრე, თორემ გესვრი!

— სროლის შემდეგ შეიძლება გავინძრე?

— მე არ მეხუმრება! — უთხრა უცნობმა და რომელიღაც ცხელი იარაღის ლულა შუბლზე მიადო. მგზავრს ცხელი იარაღის ლულა ცივ ეჩვენა, იგი მორჩილად შეუდგა მაჯის საათის შეხსნას და ჯიბეების ქექვას, მაგრამ, აი, საქმე: მძარცველმა ყველაფერი უკან გადმოუყარა. შარვალი იარაღის ტუჩით აიღო და დედიშობილა მსხვერპლს ზიზღით უთხრა:

— ჩაიცვი!

„ფული არ უნდა, ტანსაცმელი არ უნდა, ეტყობა, მოსაკლავად მომიგზავნეს!“ — ფიქრობს მგზავრი. მხოლოდ ფიქრობს, რადგანაც ეჩვენება, რომ შიშისგან ენა ჩაუვარდა.

— არ მესროლო და სანადიროდ

რომ წახვალ, ძაღლად წამოგყვები, ნანადირევს მოგირბენინებ და ხელსაც აგილოკავ.

უცნობი დუმს.

— არ მესროლო და დისერტაციას დაგიწერ, ხარისხს მიგაღებინებ, სასამართლოში მოწმედ დაგიდგები.



— აი რა! — კბილებში სცრის უცნობი და ჩახმახს ფეხზე აყენებს. — სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზა გაქვს: ხვალ გაბარებს ჩემი შვილი,—მათემატიკა წერა, ჯგუფის ნომერი 123, ხვალ, 3 საათზე!

მგზავრი ჩაფიქრდა, ქუდი მოიხადა, საყელო შეიხსნა, მოცელილივით მიეყრდნო კედელს და ოდნავ ყრუდ, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით ამოღერღა!

— მესროლე!

რ. მიუველაძე

ზაფხულის მზე ისე იცინოდა, თითქოს საშემოდგომო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა. ლურჯცხვირა მესაფლავე თავისი ხელით გათხრილ სამარეში მხართეძოზე იწვა. თავს ვიღაცა წამოადგა.

— აჰა, ქვითარი და, თუ ძმა ხარ, კარგი საფლავი გამითხარე!

— შენთვის გინდა?

— არა, ბაბუაჩემისთვის.

— ერთ თვეში გამოიარე.

— ხომ არ გაგიჟდი, ერთი თვე როგორ შევინახო მიცვალებული?

— შეინახო, შენც კარაქსა და ხიზილალას გთხოვს? იდოს თავისთვის, რას გიშლის?

მიცვალებულის პატრონი მიხვდა, რომ სამი თითის ამოძრავება იყო საკმარო.

— გზისპირას მოვახერხებ რამეს, ადვილი იქნება მზად.

— გზისპირას როგორ დავმარხავ მიცვალებულს?

— ვინ მოგპარავს?

ძალიან ეზარებოდა დაზარალებულს სამი თითის ხელახლა ამოძრავება, მაგრამ, რას გააწყობდა?! მესამე დღეს მიცვალებული ისეთ ადგილას დაიმარხა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

მისი დამარხვიდან რამდენიმე წუთის შემდეგ საფლავში ასეთი დიალოგი გაიმართა:

— რომელი ხარ, რომ მ წვები შე სულთამხუთავო?

— შენ თვითონ ვინა ხარ, რა გინდა ჩემს საფლავში?

— მე უკვე ოცი წელია აქ ვწევარ და საფლავშიც აღარ მაყენებ?

— მოითმინეთ, ამხანაგო, მოითმინეთ! რატომ ცხარობთ? ბედმა სამუდამოდ შეგვყარა, ტკბილად უნდა ვიცხოვროთ.

— შენ ეს მითხარი, ღამე ხომ არ ხვრინავ?

— ვხვრინავდი გვარიანად, მაგრამ ვინ დამაცალა, გადამაჩვიეს.

— ეგ კარგი უქნიათ! ვინ ხარ შენ, რას საქმიანობდი ზევით?

— ექიმი ვიყავი, ექიმი.

— აიბოლიტი?

— აიბოლიტი კი არა და ტომ სოიერი არ გინდა?! ქირურგი ქორიძე ვარ.

— შე კაცო, ამ ოცი წლის წინ შენ არ გამიკეთე ოპერაცია?

— მე გაგიკეთე!.. ისე რავა ხარ ახლა?

— გმადლობთ, ექიმო, აღარც კუჭი მტკივა და აღარც თორმეტგოჯა ნაწლავი.

— ნუ გეშინია, თუ წამოგტკივდეს რამე, აგერ ვარ.

— რას მაშინებ, ექიმო, ამაზე მეტს რაღას მიზამ? გამომართვი ეს მაკრატელი!

— რა მაკრატელია ეს?

—კუჭში რომ ჩამიტოვე ოპერაციის დროს, არ გახსოვს?

— დედა, დედა, დედა! რაც მე ეს მაკრატელი ვეძებე, კუჭში თუ გქონდა, ვერ მითხარი?

— მაცალე თუ!.. ისე, როგორი შეხვედრა მოგიწყო იმ მესაფლავემ.

— შენც იმან დაგმარხა?

— მეც იმან დამმარხა და ჩემს ქვემოთ რომ არის, ისიც.

— შენს ქვემოთ კიდევ არის ვინმე?.. ჯოჯოხეთში მოვხვედრილვარ!

გ. მახვილაძე

ეს ვინ ვარ?!

მიხო დირექტორად დასვეს,
ალბათ, „დამსახურებით“,
დალოცეს და ადღეგრძელეს
თასებით და ჭურებით.
მეორე დღეს ვიღაც რეკავს:
— ვინ ბრძანდებით? — ფაცია!
და ერთბაშად სამსახურში
ატყდა გაწამაწია.
— შენთან ისიდორე მოვა,
მამაჩემის კაცია,
რამე ადგილი უშოვე,
არც თუ ისე პაწია.
ნიკას მოხსნი, მის ადგილას
დასვამ ჩემს ძმა ჭიჭიკოს,
მიტო მოვა, ფერმის გამგედ
განა არ ჯობს ის იყოს?
— რა ვქნა, ქალო, ნუ გგონია
სხვების მოხსნა ადვილი,
შესაცვლელი დარჩა მხოლოდ
თვითონ ჩემი ადგილი!

დ. ასკურავა

ნახ. ვ. ბუმბურიძისა

„ამხანაგური“ შეხვედრა



ნახ. ჯ. ლოლუასი

— რომ ევედრები ღმერთს, კარგი ფეხსაცმელი მაშოვნინეო, ვერ ხედავ თვითონაც ფეხშიშველაა?!

კიბერნეტიკული რომანი



— კერძო ექიმს მიმართეთ. საგარანტიო ვადა გასული გაქვთ.

სიყვარულის ახსნა.



— რატომ შორდებით ერთმანეთს?
— დეტალები ვერ ავაწყეთ.

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ცოტაც, შვილო, და სამშვიდობოს გაგიყვან!

ნახ ჯ. ლოლუასი

— რატომ აძლევ ბავშვს პაპიროსს?
— კანფეტის ჭამას მინდა გადავაჩვიო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგია მყავდა

ბებია მყავდა ეს რვა წლის, ეს ცხრა არ გადაგვეხადა,
ისე მოკვდა და დავმარხეთ, პირზე ღიმილი ეხატა.
ქვლეხიც გადავუხადე, ვერ შევირცხვენდი კაცობას,
იდვენი ხალხი მოაწყდა, „ანშლაგი“ ჰქონდა საცოლიეს.
ეს ოცი კაცი დავთვალეთ, როცა დასხდნენ და დალაგდნენ,
კეფლლებს ბათქაში ჩამოტყდა, ერთად რომ ალაპარაკდნენ.
„რა ერქვა იმ ცხონებულსო“, — ხოდილობისათვის იკითხეს,
მერე მაგიდის გალოლა სულ უცნობებმა იკისრეს.
შეაესეს ჩაის ჭიქები, ყანწებიც ლოშვლიეს,
საწყალი ბებიაჩემი, რად აოარ მოიხსენიეს.
ისე აქეს და ადიდეს, გულები ავვიცაცხანეს,
აქეთ „მაყოლი“ დიწყეს, იქით „ლაშქრული“ დასძახეს.
არ დარჩათ არცა სიმღერა, არც ცეკვა „ნაკეურთხ-უკეურთხი“,
ვიღაცა, გაშლილ სუფრაზე შემოხტა „ფარცა-კუკეთი“.
თამადაც გაჭირვეულდა, ჩემს სიდედრს გვერდით მოუჯდა,
„მაღლა თუ ვიხმე ცხოვრობსო“, (დამბახის სოროლა მოუხდა).
ერთი ეთქვა: „სირცხვილია-თქო“, „ჰკა მაგასაო“ — დამძახეს,
ჩემს სახლში, ჩემს პურ-მარილზე სიდედრის თვალწინ გაძალეს.
ცოტა ხნით გარეთ გამავდეს, სუფრაზე აღარ დამიშვეს,
მაგიდა ამიტრიალეს და ჯამ-ეურჭელი დამიფშვნეს.
სულ ამოჯანყეს ეზოში მაქებარ-მაგინებელი,
ვიღაცამ მოინიბრახუნა: „რა გახდა შენი ბებერი?“
კაცობაზე რომ თავს ვდებდი, სირცხვილი ეჭამე როგორი?
ჯერ ეს სიკვდილი შეჩვევდეს, მერე ქელეხის მომგონი.

გ. ჩიკვილაძე.

ᲥᲥᲕᲝ „ᲬᲘᲚᲘ“, ᲐᲐᲠᲐ ᲥᲥᲕᲝ ᲠᲘᲒᲘ!

წესი + რიგი = წესრიგს.

ჩასვით წესი ბრჭყალებში, მოშალეთ რიგი = უწესრიგობას.

დამატებითი კითხვა: რაზეა აქ ლაპარაკი?

— მართლაც და, რა არის აქ სალაპარაკო? წლების მანძილზე ჩვენთან ეს წესია გაბატონებული, — ამბობს პირგამეხებული, შიგადაშიგ თეთრხალათიანი და ხელში სამართებელს ატრიალებს. ცივი იარაღი — დანა ხელში აქვს, ცეცხლმსროლელი იარაღი — ენა პირში, მოდი და გაუბედე პასუხი —დანა კბილს არ მიხსნის.

საქმე ეხება „წვრილმანს“: ადამიანის მომსახურების კულტურას, ამიტომ ამიტანა წერამ და გამაბედვინა დანაამოღებულ კაცთან შელაპარაკება.

გაგონილს თვალით ნახული ჯობია. საკუთარი თვალით დავინახე და, ჩვენს შორის რომ არ დარჩეს, საქვეყნოდ ვაცხადებ: ჩემი მეზობელი, ხარიტონ ფულარია, კაპიტალისტური გადმონაშთია. საბუთი: კერძო საკუთრებაზე გიჟდება. კერძოდ? აქვს: საკუთარი სახლი, საკუთარი აგარაკი, საკუთარი მანქანა; ჰყავს: პირადი მდივანი, პირადი მძღოლი, პირადი მექისე და ასევე პირადი დალაქი... რა ვიცი? სამსახურშიც მინახავს, აბანოშიც გამოჩნდა ეს და, აგერ სადალაქოშიც... ვუცდით, ჩემო ბატონო, მე და მისი დალაქი მის უკეთურშობილებას.

... ამ ცოტა ხნის წინ ამხანაგი შემხვდა ქუჩაში, „პარიკმახერი დაგეძებსო“ (ამას ჩვენში წვერგაუპარსავ კაცს ეტყვიან).

ორი საათი ვიძინ-ვიფხიზლე სადალაქოში. გამიგონია, „ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს, ვის ვუყვარვარ მე... მოდი ხმა გამე!..“ ერთხანს ლექსით გავირთე თავი, ბოლოს წამომცდა:

— როდემდე ვიჯდე ასე?

— თქვენ ვისთან იპარსავთ?

— სულ ერთია.

— სულ ერთი თუა, ჩვენთვისაც სულ ერთია, ჩვენ ჩვენს კლიენტებს ველოდებით.

— მე ვისი ვარ?

—შენ ცოლ-შვილს მოგახმაროს ღმერთმა.

— რას ჰქვია, ღმერთო მომკალი, მე კაცი ვარ, თუ...

— ეგ მამაშენისთვის უნდა გეკითხა ბავშვობაში, — გამეხუმრა, — ამ ხალხს რომ უყურებ, ყველას საკუთარი დალაქი ჰყავს, მეც ჩემს შეფს ველოდები.

სწორედ ამ დროს, საზამთროსავით შემოგორდა ჩემი მეზობელი ხარიტონ ფულარია, ცნობისმოყვარედ შემომხედა და სავარძელში ჩაეშვა.

— ასეთია ჩვენთან წესი.

— ამიტომ არ არსებობს ჩვენთან რიგი.

— მერე ეს არის წესრიგი? — ვთქვი მე, — სადაა ცოცხალი რიგი?

— ახლა ცოცხალი მომთხოვე სადალაქოში!

ძლივს შევიკავე თავი. საკუთარი დალაქების მოლოდინში მედიდურად გაბღინძული კლიენტები თავშეუკავებლად ტრაბახობდნენ, იგონებდნენ და ჩმახავდნენ რაღაც ბატონკაცურს:

— ერთი თვის გაუპარსავიც რომ ვიყო, სხვასთან ვერ წავალ.

— წარმოიდგინეთ, ახლა შვებულებაში ვარ და თბილისიდან ვერ წავსულვარ ჩემი წვერის გადამკიდე. ჩემი დალაქის გარდა, სხვას ვერ ვენდობი.

— თქვენ შვებულებაზე ლაპარაკობთ და მე ახლა, რომ იცოდეთ, მივლინებაში ვარ ოჩამჩირეში... — დაარტყა მესამემ.

— ეს როგორ?

— წვერის გასაპარსად ჩამოვედი დალაქთან. გაპარსვისთანავე უკან ვბრუნდები.

— აგერ ჩემმა მეზობელმა ოთხი ცოლი გამოიცვალა ერთი დალაქის გულისთვის! — აუბა მხარი მეზობელმა.

— კაცო, მაგი საყვარელი ყოფილა.

—მე ჯერ წვერი არ მაქვს, მაგრამ, როცა ამომივა, სულ აქ ვივლი! — წამოიყივლა პირტიტველა ყმაწვილმა და კაცებში გაერია.

არ გჯერათ? არც მე მჯეროდა. მიბრძანდით სასტუმრო „თბილისის“ კომფორტულ სადალაქოში და კარებთან აიტაუზეთ, მსგავს აბდაუბდას ყოველთვის გაიგონებთ.

ასეთი მდგომარეობაა თურმე სხვაგანაც, რაც მოუთმენელია, რაზედაც ხელს ვაწერ:

გ. წვერავა

უეცარმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი, შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე, მთარგმნელი და ჟურნალისტი მოსე იაკობის ძე ქარჩავა.

აღარ არის ჩვენს შორის ძვირფასი მეგობარი, დიდბუნებოვანი ადამიანი, ყველგან და ყოველთვის გულისხმიერი და დაუზარებელი, ყველასათვის მზრუნველი და თავდადებული, სეტყვა ხულისა და კეთილშობილი გულის პატრონი, ეშმარიტი მამულიშვილი.

თვალწინ გვიდგას იგი — სახეზე კეთილ ღიმილგადაფენილი, ტკბილმოუბარი, დახმარებისთვის მუდამ ხელის გამწოდებელი, ოდნავ ნაღვლიანი... მოსეს მძიმებელი შემოქმედებითი ბუნება, დიდი ინტელექტი, ფაქიზი ლიტერატურული გემოვნება და ფართო ერუდიცია თანაბრად მეყოვნდებოდა როგორც საკუთარ, ასევე მის მიერ თარგმნილ ნაწარმოებებში. ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატურას ყოველთვის დამშვენებს შექსპირის, უაილდის, ბაირონის, უიტმენის, შოუს, სვიფტის, ლონდონის, ჰემინგუეის, დრაიზერისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც მან ასე შესანიშნავად თარგმნა ინგლისური ენიდან. ქართული და ინგლისური ენების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა მოსე ქარჩავას პირველხარისხოვან მთარგმნელთა რიგებში აყენებდა.

„ნიანგის“ ფურცლებზე მოსე უმეტესად ქარაშოტის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ორიგინალურ ლექსებს, ფელეტონებს, კრიტიკულ წერილებს. როგორც პრესაში გამოქვეყნებული, ასევე „ნიანგის ბიბლიოთეკის“ სერიით ცალკე წიგნებად გამოცემული ხალასი ნიჭით აღბეჭდილი, მისი ნაწარმოებები მკითხველთა ფართო მასების დიდ მოწონებას იმსახურებდა.

შესანიშნავი ჟურნალისტი საქმის ცოდნით, დიდი მონდომებითა და სიყვარულით ასრულებდა „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას.

რაც უფრო მეტად ვამაყობთ მოსეს პიროვნებითა და შემოქმედებით, მით უფრო მეტი გულისტკივილით განვიცდით მის არყოფნას.

წავიდა ჩვენგან საყვარელი მოსე ქარჩავა, მაგრამ თავისი სიკეთით სავსე უწმინდესი გული, სეტყვა სული, ნათელი გონება და შრომისმოყვარეობა ჩვენ დაგვიტოვა.

რედაქტორი ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 2/X-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3269 უე 03413 ტირაჟი 40000

65-696

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ИНДЕКС 76317

ლექსის ფერა

კარჩაკეტილი კაცი



...მოატყუა ერთი, მოატყუა ორი!..

დუელი



გულმავიწყი

№ 696
14/X